

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ზუგდიდის რაიონული
სასამართლოს 2022 წლის ანგარიში**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-III თავის მოთხოვნათა შესასრულებლად, ამ კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები - სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსი, მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ჩემინავა, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თინათინ შავლაყაძე და საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - სასამართლოს მენეჯერი, პირველი რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლანა ბერიშვილი.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 2022 წლის 01 იანვრიდან 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია -29 განცხადება:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან - 4
2. „სოციალური სამართლიანობის ცენტრიდან - 4
3. ააიპ კავშირი „საფარი“-დან - 1
4. ააიპ „ინვალიდთა გაერთიანებიდა” -1
5. საქართველოს პარლამენტის წევრი - 1
6. მოქალაქეებისგან -18

აღნიშნული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა - 10;

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -10;

არ დაკმაყოფილდა - 9.

შემოტანილი 29 განცხადებიდან მოთხოვნილია:

1. სტატისტიკური ინფორმაცია 2020-2022 წლებში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავით გამოტანილი გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენების შესახებ;
2. ინფორმაცია 2017 წლიდან 2022 წლამდე პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნით შემოსულ და დასრულებულ საქმეთა რაოდენობა;
3. 2018-2022 წლებში სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 109-ე, 117-ე, 177-ე, 178-ე, 179-ე, 180-ე, 260-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლების გადაგზავნა.
4. 2018-2022 წლებში სქესობრივი დანაშაულის მუხლებით, რამდენი ადამიანი იქნა ცნობილი დაზარალებულად, რამდენს წარედგინა ბრალი და რამდენი გამამტყუნებელი განაჩენი დადგა;

5. 2018-2022 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც არ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება მხარეებს შორის, ასევე ის განაჩენები, სადაც შეცვლილი პირობებით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმებები;
6. 2018 წლიდან 2022 წლამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259¹, 259², 259³ მუხლების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების ასლები;
7. 2010 წლიდან 2022 წლამდე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ჩაშლილად წლების მიხედვით რამდენი სისხლის სამართლის საქმე იქნა განხილული ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, რამდენი გამამტყუნებელი და გამამართლებელი ვერიდიქტი იქნა მიღებული, რამდენი მოქალაქე მონაწილეობდა ნაფიც მსაჯულთა (ჩაშლილად სქესის, და ასაკობრივი კატეგორიის მითითებით), რამდენმა ადამიანთა თქვა უარი მონაწილეობაზე, რამდენი დაჯარიმდა ან დაეკისრა პასუხისმგებლობა თავის არიდების გამო.
8. რამდენ სისხლის სამართლის საქმეზე იქნა გამოტანილი განაჩენი გამამტყუნებელი/გამამართლებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,159-ე მუხლით.
9. 2012-2022 წლებში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც სასამართლომ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი.
10. საქართველოს სსკ-ის 129-ე, 133-ე, 200-ე, 218-ე, 220-ე, 332-ე, 260-ე, 267-ე, 269-ე, 302-ე, 313-ე, 314-ე, 320-ე, 359-ე მუხლებით გამოტანილი გამამართლებელი/გამამტყუნებელი განაჩენის ასლები;
11. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ასლების გადაცემა, სადაც მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და დავის საგანი შეეხებოდა ტრანსგენდერი პირისთვის სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებაზე უარის თქმის შესახებ აქტის ბათილად ცნობას და ახალი აქტის გამოცემის დავალებას.
12. კონკრეტული პირის მიერ შემოტანილი სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების ასლის გადაცემა;
13. კონკრეტული მოსამართლის ზუგდიდის სასამართლოში მუშაობის წლების და პოზიციებზე მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
14. 2017-2021 წლებში საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემა;
15. ბოლო 5 წლის განმავლობაში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 997-ე მუხლებზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია;
16. ბოლო 7 წლის განმავლობაში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 992,997,1005-ე მუხლებზე მიღებული გადაწყვეტილების სტატისტიკური ინფორმაცია;
17. 2017-2022 წლებში სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი და გამამართლებელი, ასევე საქმის არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენის ასლების და საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული განჩინების ასლები გადაცემა;
18. 2021 წლის 1 მაისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სასამართლოს მიერ მიღებული ჩხრეკა/ამოღების განჩინებების ასლები კანონიერების შემოწმების და ნებართვის გაცემის შესახებ.
19. „აიპ ინვალიდთა გაერთიანება“-ს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია 2018 წლიდან 2021 წლის ივლისამდე აიპ ინვალიდთა გაერთიანების მიერ რამდენი სარჩელია

წარმოდგენილი, ვინ იყო მოპასუხე მხარე, გაიცა თუ არა სააღსრულებო ფურცელი და შევიდა თუ არა საქმე კანონიერ ძალაში.

20. საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე და 75-ე მუხლების საფუძველზე სასჯელის გადავადების ან შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის (სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში), ასევე 2018 წლის 01 იანვრიდან დღემდე უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე არსებული სტატისტიკური ინფორმაცია;

21. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 4 განცხადება:

1. 2020 წლიდან 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით საქართველოს სსკ-ის 143¹ და სსკ-ის 136-138-ე მუხლებით შემოსული შუამდგომლობების რაოდენობის და მათზე მიღებული სედეგების შესახებ ინფორმაცია;
2. 2020 წლის მაისიდან 2022 წლის 16 მარტის ჩათვლით საქართველოს სსკ-ის 248¹-ე მუხლით და სსკ-ის 359¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე რამდენი საქმე იქნა განხილული, რამდენზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რამდენი დასრულდა არსებითად, რამდენზე დადგან გამამართლებელი და გამამრტყუნებელი განაჩენი, მონაცემების და განაჩენის ასლები გადაგზავნა.
3. 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს სსკ-ის XXXVI-ე თავით გათვალისწინებულ დანაშაულებზე განხილული საქმეების რაოდენობის, მათზე გამოტანილი განაჩენების შესახებ ინფორმაცია
4. 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹-ე, 57¹-ე, 64¹-ე, 64², 66-ე, 151-ე, 86-ე, 86¹-ე, 128²-ე და 79⁷-ე მუხლებით განხილულ საქმეთა რაოდენობა.

„სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ 4 განცხადება:

1. 2018 წლიდან 2022 წლის ჩათვლით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა მუხლისა და 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე, 150-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381¹, 381², 126¹ და 53-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განაჩენების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ გამოცემული დამცავი ორდერის ან გამოცემაზე უარის თქმის და შემაკავებელი ორდერის გაუქმების შესახებ მიღებული გამამრტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის ასლების გადაცემა.
2. განცხადება 2020 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკების, მასში შესული ცვლილებებით, მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების რაოდენობის სპეციალიზაციების მიხედვით ცალ-ცალკე, ასევე ინფორმაცია შვებულების, დეკრეტული შვებულების, აცილების და თვითაცილების შესახებ.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 109-ე, 115, 117, 118, 120, 126, 133, 137, 141, 144, 149, 151, 160, 171, 187, 253, 255¹, 381¹, 126 მუხლებით გამოტანილი გამამართლებელი და გამამრტყუნებელი განაჩენის ასლები;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 109-ე, 115, 117, 118, 120, 126, 133, 137, 141, 144, 149, 151, 160, 171, 187, 253, 255¹, 381¹, 126

მუხლებით გამოტანილი გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენის ასლები;

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ ყველა განცხადებებზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილ ვადაში და ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის დროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან გადაცდომას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე შემოვიდა 1 საჩივარი, რომელიც საჩივრის ავტორმა სხდომაზე გაიხმო.

ლანა ბერიშვილი
სასამართლოს მენეჯერი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი